ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ CMR-141102

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კომპაუდი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ნუგზარ ხიჯაკაძის სახით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N170159575, რეგისტრაციის თარიღი 16.02.2017 წელი), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია:
2.1.1 შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერის ან/და რეალიზაციის მიზნით აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (საშემფასებლო მომსახურება) (კლასიფიკატორის კოდი: 79419000 - შეფასებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები) ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;
2.1.2 შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების შეფასების (საბაზრო ღირებულების დადგენის) აუდიტორული მომსახურების (საშემფასებლო მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი: 79419000 - შეფასებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები).
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1 და დანართი 2), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2000.00 (ორი ათასი ლარი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.
2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

3.მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღე.
3.2 აუდიტორული დასკვნა მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N8, მესამე სართული შპს ,,ეკოსერვის ჯგუფის“ ცენტრალური ოფისი.
3.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიმწოდებელს მიაწოდოს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელ მის ხელთ არსებულ ინფორმაცია.
3.4 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ მომსახურება გაწეული იქნება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის 2.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება გაწეული იქნება ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად), გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1. ხელშეკრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს ადმინისტრაციის უფროსი მალხაზ ლაბაძე;
ბ) შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს მთავარი ბუღალტერი შალვა შოშიაშვილი;
გ) შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს ლოჯისტიკის მენეჯერი ირაკლი ათანასოვი;
5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადების და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული პირები.

7.ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს 2019 წლის სახსრებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ანგარიშსწორების მომენტში დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) შემსყიდველისთვის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდება არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქონლის ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და საქონლის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.5 ამ მუხლის 9.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება ფორს მაჟორულად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის 11.2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

11.2 ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული რაოდენობები სავარაუდო ხასიათისაა და შემსყიდველი უფლებამოსილია მისი საჭიროებიდან გამომდინარე მიმწოდებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მოახდინოს მისი ცვლილება ერთეულის ფასისა და ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ფარგლებში.

11.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეცვლის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ოფიციალური წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და დამოწმებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

13.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>	<u>მიმწოდებელი:</u>
შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“	შპს ,,კომპაუდი“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N 8 (ნაკვეთი 4/27)	მის: ქ.თბილისი, ა.წერეთლის 95ა
ელ-ფოსტა:makhodavadze@gmail.com	ელ-ფოსტა: compaudi@hotmail.com
სს ,,ლიბერთი ბანკი“	სს ,,საქართველოს ბანკი“
კოდი: LBRTGE22	კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE06LB0113124260741000	ა/ა № GE62BG0000000192631800
ს/კ 404553666	ს/კ 202385169
_____	_____
ვახტანგ ნოზაძე დირექტორი	ნუგზარ ხიჯაკაძე დირექტორის მინდობილი პირი

Vakhtang Nozadze
Digitally signed by Vakhtang Nozadze
Date: 2019.11.15 12:33:03 +04'00'

LTD komp audi
Digitally signed by LTD kompaudi
Date: 2019.11.15 11:26:18 +04'00'

დანართი 1

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფის" ბალანსიდან ჩამოსაწერი (ამორტიზებული ან ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი (ვადაზე ადრე ჩამოწერა)) და სარეალიზაციო ძირითადი საშუალებების (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა) ნუსხა							
N	ძირითადი საშუალების			ძირითადი საშუალების საწარმოს ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობის დასაბუთება	**ფოტო**		მომსახურების ღირებულება
	დასახელება	საინვენტარიზაციო კოდი	ფიზიკური მდგომარეობა				
1	HUSQVARNA 365	000952	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00
2	HUSQVARNA 365	000958	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00
3	HUSQVARNA 365	000953	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00

4	HUSQVARNA 365	000957	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00
5	HUSQVARNA 365	000955	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00
6	HUSQVARNA 365	000954	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00
7	HUSQVARNA 365	000965	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00
8	HUSQVARNA 365	000951	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			14.00

9	Laski F460E/27	000946	მწობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი. ხის კუნძების დასამუშავებლად კომპანიის მიერ მოხდა უკეთესი საშუალების შესყიდვა.			14.00
							14.00
ჯამი							140.00

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფის" ბალანსიდან ჩამოსაწერი (ამორტიზებული ან ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი (ვადაზე ადრე ჩამოწერა)) და სარეალიზაციო ძირითადი საშუალებების (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა) ნუსხა

N	ძირითადი საშუალების			ძირითადი საშუალების საწარმოს ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობის დასაბუთება	ფოტო		მომსახურების ღირებულება
	დასახელება	საინვენტარიზაციო კოდი	ფიზიკური მდგომარეობა				
1	კომპ. მონიტორი პროცესორი	000980	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			5.36
2	ხის ნაჭრის სკამი	000904	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			5.29
3	ხის ნაჭრის სკამი	000911	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			5.29
4	შავი ნაჭრის სკამი	000906	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.			5.29

5	შავი ნაჭრის სკამი	000907	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
6	შავი ნაჭრის სკამი	000908	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
7	შავი ნაჭრის სკამი	000909	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
8	შავი ნაჭრის სკამი	000910	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29

9	შავი ნაჭრის სკამი	000923	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
10	შავი ნაჭრის სკამი	000924	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
11	ხის ნაჭრის სკამი	000925	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
12	ხის ნაჭრის სკამი	000926	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
13	ხის ნაჭრის სკამი	000977	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
14	შავი ნაჭრის სკამი	000978	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
15	შავი ნაჭრის სკამი	000979	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
16	კომპ. მაგიდა	000983	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29

17	კომპ. მაგიდა	000984	მწყობრიდან გამოსული	აღნიშნული ძირითადი საშუალება შეკეთდა არაერთხელ, მოცემულ მომენტში მისი აღდგენა-შეკეთება არ არის მიზანშეწონილი.		5.29
ჯამი						90.00

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების				რეალიზების დასაბუთება	ფოტო				მომსახურების ღირებულება
	მარკა/მოდელი	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	ფიზიკური მდგომარეობა						
1	GAZ 53-12	XX-113-DD	1990	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
2	GAZ 53 A	XX-115-DD	1983	მუშა მდგომარეობაში	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
3	ZIL-130	TT-240-JJ	1984	მუშა მდგომარეობაში	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
4	ZIL-431410	TT-241-JJ	1988	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00

5	GAZ-53	TT-243-JJ	1988	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
6	GAZ-3507	TT-244-JJ	1988	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
7	GAZ-3507	TT-245-JJ	1989	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
8	GAZ-52-01	TT-246-JJ	1984	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00

9	GAZ-53 B	TT-247-JJ	1988	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
10	GAZ-53-19	LL-308-UU	1991	მწყობრიდან გამოსული	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
11	GAZ 53-12	PL-995-LP	1991	მუშა მდგომარეობაში	ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი არდგენა-შეკეთება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.					70.00
ჯამი										770.00

დანართი 2

N	უძრავი ქონების				შეფასების მომსახურების ღირებულება
	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)	
1	შენობა ნაგებობა N1	ქ. თბილისი, ქუჩა სამღერეთი N3	01.12.14.096.009	187.47	47.60
2	შენობა ნაგებობა N2			187.80	47.60
3	შენობა ნაგებობა N3			321.49	47.60
4	შენობა ნაგებობა N4			1585.03	47.60
5	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			20131.00	47.60
6	შენობა ნაგებობა N2-ის მეორე სართულის ნაწილი	ქ. თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N76	01.14.10.002.050	174.66	47.60
7	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			მე-7 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი	47.60
8	შენობა ნაგებობა N1-ში მესამე სართულის ნაწილი	ქ. თბილისი, ქუჩა სანაპირო N8	01.15.03.004.027	260.99	47.60
9	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			მე-9 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი	47.60
10	შენობა ნაგებობა N1	ქ. თბილისი, თბისლისის ზღვა, სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ	01.12.10.007.042	293.52	47.60
11	შენობა ნაგებობა N2			298.00	47.60
12	შენობა ნაგებობა N3			275.86	47.60
13	შენობა ნაგებობა N4			71.66	47.60
14	შენობა ნაგებობა N5			19.92	47.60
15	შენობა ნაგებობა N6			28.14	47.60
16	შენობა ნაგებობა N7			1462.38	47.60
17	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			62252.00	47.60
18	ბინა N34	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N30	01.10.17.023.001.00.01.503	80.00	47.60
19	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			19-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი	47.60
20	ბინა N35	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N36	01.10.17.023.001.01.01.035	85.38	47.60
21	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			21-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი	48.00
ჯამი:					1000.00

<u>მოამზადა:</u>

შპს ,,ეკოსერვის ჟგუფი“-ს ადმინისტრაციის

მთავარი სპეციალისტი გიორგი ცუხიშვილი _____ Giorgi Tsukhishvili Digitally signed by Giorgi Tsukhishvili Date: 2019.11.14 15:18:54 +04'00'

<u>შეთანხმებულია:</u>

შპს ,,ეკოსერვის ჟგუფი“-ს

შესყიდვების მენეჯერი: მალხაზ დავაძე _____ Malkhazi Davadze Digitally signed by Malkhazi Davadze Date: 2019.11.15 14:29:38 +04'00'

შპს ,,ეკოსერვის ჟგუფი“-ს

ადმინისტრაციის უფროსი: მალხაზ ლაბაძე _____ Malkhaz Labadze Digitally signed by Malkhaz Labadze Date: 2019.11.15 14:35:32 +04'00'